ხელშეკრულება #160

24 ივნისი 2015 წ.

ქ. თბილისი

ერთის მხრივ, საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტი (შემდგომში "შემსყიდველი") მისი თავმჯდომარის მოადგილის გიორგი ნაცვლიშვილის სახით და მეორეს მხრივ, შპს „პროგრეს გრუპ" (შემდგომში ,,მიმწოდებელი") მისი დირექტორის ალექსანდრე ტატუნაშვილის სახით, ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე, "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის "ვ" ქვეპუნქტის გათვალისწინებით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სომხეთის ქალაქ ერევანში ოფიციალურ ვიზიტთან დაკავშირებით 1 (ერთი) ცალი ყვავილების გვირგვინის შესყიდვა, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით (CPV03121210).

2. შესყიდვის ობიექტი

შესყიდვის ობიექტია ყვავილების გვირგვინი.

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1 შესყიდვის ობიექტების ფასი განისაზღვრება ეროვნული ლარით;

3.2. შესყიდვის ობიექტის ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 450 (ოთხასორმოცდაათი) ლარს დღგ-ს ჩათვლით;

3.3. ხელშეკრულების 3.3. პუნქტში აღნიშნულ ფასში შედის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი და მოსაკრებელი.

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

5.1. შესყიდვის ობიექტების მიწოდების ვადა განისაზღვრება შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად ხელშეკრულებაზე ორმხრივად ხელმოწერის დღიდან 2015 წლის 30 ივნისის ჩათვლით.

5.2. შესყიდვის ობიექტების მიწოდების ადგილია მიმწოდებლის ფაქტიური მისამართი.

5.3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

6.2. შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების 6.1. პუნქტში აღნიშნული უფლებამოსილი პირია სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მომარაგების განყოფილების ინსპექტორი გოჩა მაღლაკელიძე.

7. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

7.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ლარში.

7.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

7.3. ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება შესყიდვის ობიექტის მიწოდების, ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენისა და მიღება-ჩაბარების აქტზე ორმხრივად ხელმოწერიდან არაუმეტეს 15 (თხუთმეტი) საბანკო დღის ვადაში.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

ა) შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

8.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

8.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:

ა) მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

8.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) მიაწოდოს შემსყიდველს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ობიექტი ყოველმხრივ უნაკლო მდგომარეობაში.

ბ) შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს წუნდებული საქონლის ან მისი ნაწილის შეცვლა შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1. ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი/უხარისხო შესრულების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო სახელეკრულებო ღირებულების 2 (ორი) პროცენტის ოდენობით..

9.2. მომსახურების გაწევის ვადის დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გაწეული მომსახურების ღირებულების 0,2 (ნოლი მთელი, ორი მეათედი) პროცენტის ოდენობით,

9.3. მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო სახელეკრულებო ღირებულების 5 (ხუთი) პროცენტის ოდენობით.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ორმხრივად ხელის მოწერის დღიდან 2015 წლის 31 ივლისის ჩათვლით.

11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება

ხელშეკრულების პირობები შემსიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12. ფორს-მაჟორი

12.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

12.2. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

13.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

14.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

14.2. ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მომარაგების განყოფილების ინსპექტორი გოჩა მაღლაკელიძე.

14.3. ვიზუალური დათვალიერების დროს, თვალსაჩინო ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში, შემსყიდველი ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს მიმწოდებელს აღმოჩენილი ნაკლის შესახებ და მოსთხოვოს გონივრულ ვადაში საკუთარი ხარჯებით მისი გამოსწორება.

14.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

15. სხვა პირობები

15.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

15.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

15.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, ერთი ეგზავნება მიმწოდებელს, ხოლო ორი ინახება შემსყიდველთან რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი

იურიდიული ძალა. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის იქნება წერილობითი ფორმით შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
სასჯელაღსრულების დეპარტამენტი გორგასლის ქ. N83 ა ს/კ 204404723 საქართველოს ეროვნული ბანკი ბ/კ 220101107 ა/ა GE24NB0330100200165022 თავმჯდომარის მოადგილე	შპს „პროგეს გრუპ“ ქ. თბილისი, ი. აბაშიძის 46 ს/კ 404865151 ს/ს „თი ბი სი ბანკი“ ბ/კ TBCBGE22 ა/ა GE17 TB70 2403 6020 1000 14 დირექტორი
/გიორგი ნაცვლიშვილი/	/ალექსანდრე ტატუნაშვილი/